

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2022 საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	31.12.2021 წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	1.01.2021 წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	153 104	19 429	106 565
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	622 825	755 176	437 224
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები			
მარაგები			
- მზა პროდუქცია			
- სხვა			
საინვესტიციო ქონება	218 052	188 176	103 133
სხვა მოკლევადიანი აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები			
- თევზთყვამის მოდელი			
- გადაფასების მოდელი			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2 495 110	2 964 765	2 388 635
ინვესტიციები ფილიალებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წლობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	3 489 091	3 927 546	3 035 557
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	776 953	677 501	367 725
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			

საგადასადო ვალდებულებები	54 038	15 292	27 375
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	830 991	692 793	395 100

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'სა	2 000		
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2 656 100	3 234 753	2 640 457
გადაფასების რეზერვი			
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	2 658 100	3 234 753	2 640 457
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3 489 091	3 927 546	3 035 557

სულ მოკლევადიანი აქტივები			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები			

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

ნეტო ამონაგები	2022	საანგარიშგებო პერიოდი	2021 საანგარიშგებო პერიოდი	წინა
საქონლის გაყიდვიდან				
მომსახურების გაწვიდან				
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		3 287 066		4 251 634
სხვა				
გაყიდვების თვითღირებულება		(1 813 662)		(2 031 842)
საერთო მოგება		1 473 404		2 219 792

სხვა საოპერაციო შემოსავალი	(412 867)	(355 827)
დასაქმებულთა ანაზღაურება	(602 946)	(514 565)
ცვლილ/ამორტიზაციის ხარჯი		
საპროდუქტო შემოსავალი		
საპროდუქტო ხარჯი	(114 322)	(88 559)
ოჯარის ხარჯი	(921 922)	(666 545)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(2 052 057)	(1 625 496)
სულ საოპერაციო ხარჯები	(578 653)	594 296
საოპერაციო მოგება		
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭირვებიდან და სავალუტო სხსრების გადაფასებიდან		
მოღებული დივიდენდები		594 296
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(578 653)	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		
მოგების გადასახადის ხარჯი	(578 653)	594 296
საანგარიშებო პერიოდის მოგება / ზარალი		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერიოზლივი და მეკვშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელოანი პროგრამები).		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	(578 653)	594 296
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშებო პერიოდის დასაწყისში	3 234 753	2 640 457
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაო კაპიტალის გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	2 000	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	2 658 100	3 234 753
საკუთარი კაპიტალი საანგარიშებო პერიოდის ბოლოს		

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშებო პერიოდი 2022	წინა საანგარიშებო პერიოდი 2021
საოპერ. საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერ. საქმიანობაში გამოყენებული) წმინ	4 077 939	3 892 305
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	4 077 939	3 892 305
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(3 944 264)	(3 979 441)
გადაღების კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ კვეთვალენტებ	19 429	106 565
ფულადი სახსრები და მათი კვეთვალენტები საანგარიშებო პერიოდის დასაწყისში		
ფულადი სახსრები და მათი კვეთვალენტები საანგარიშებო პერიოდის ბოლოს	153 104	19 429

შპს „გერალი“-ს დირექტორი მერი ბოდაგველი



Handwritten signature in blue ink.

შპს "გერალი" (ს/კ 400022131)
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2022 წლის ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება

შპს "გერალი" (ს/კ 400022131)

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საქმიანობის შედეგები
ფულადი სახსრების მოძრაობა

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები
4. სავაჭრო მოთხოვნები
5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი
6. მარაგები
7. ძირითადი საშუალებები
8. სავაჭრო ვალდებულებები
9. ფინანსური ვალდებულებები
10. კაპიტალი
11. ამონაგების აღიარება
12. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები
13. საოპერაციო იჯარა
14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
15. გადასახადები
16. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები
17. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022წ.	31.12.2021წ.	31.12.2020წ.
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	153104	19429	106566
სავაჭრო მოთხოვნები	4	622825	755176	437224
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5			
მარაგები		218052	188176	103133
- მზა პროდუქცია				
- სხვა	6	1218052	188176	103133
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები				
ბიოლოგიური აქტივები				
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	2,495,110	2 964 765	2 388 635
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები		3,489 091	3 927 546	3 035 558
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	8	776953	677501	367725

შპს "გერალი" (ს/კ 400022131)
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები		54038	15292	27375
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9			
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები		830991	692793	395100
საკუთარი კაპიტალი	10			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		2000		
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		2 656 100	3 234 753	2 640 457
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი		2 658 100	3 234 753	2 640 457
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3 489 091	3,927 546	3 035 557

გამოსამუშევრად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "გერალი"-ს სახელით 2023 წლის 25 სექტემბერს.



მერი ზოდგელო
შპს "გერალი"-ს დირექტორი

თანდართული მენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
ნეტო ამონაგები			4 251 634
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	11	3 287 066	4 251 634
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		- 1 813 662	- 2031 842
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება		1 473 404	2 219 792
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	12	-412 867	-355827
ცვეთა და ამორტიზაცია		- 602946	-514 565
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :			
იჯარის ხარჯი	13	-114 332	- 88559
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	- 921 922	-666545
სულ საოპერაციო ხარჯები		-2 052 057	-1 625 496

შპს "გერალი" (ს/კ 400022131)
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საოპერაციო მოგება		-578 653	594 296
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:			
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		-578 653	594 296
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		-578 653	594 296
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		-578 653	594 296
კაპიტალი საწყისი წაშთი (პერიოდის საწყისი წაშთი)	10	3 234 753	2 640 457
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2 658 100	3 234 753

გამოსამუშავად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "გერალი"-ს სახელით 2023 წლის 25 სექტემბერს.



ბერი ბოდაველი

შპს "გერალი"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობა

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	4 077 939	3 892 305
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	4 077 939	3 892 305
სავალუტო კურსის ეფექტი	-3 944 264	-3 979 441
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	19 429	106 565
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	153104	19 429

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "გერალი"-ს სახელით 2023 წლის 25 სექტემბერს.



მერი პოდაველი

შპს "გერალი"-ს დირექტორი

თანდართული მუნიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "გერალი" (შემდგომში „კომპანია“) არის 2011 წლის 7 ივნისს საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანის II მ/რ, კორპ. 45, ავტოფარეხი შენობა №41, ხოლო მისი ფაქტიური მისამართია დაბა თიანეთი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. საავტომობილო გზების მშენებლობა და მიმდინარე შეკეთება.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ყავს 100%-იანი წილის მფლობელი ფიზიკური პირი მერი ბოდაველი, რომელიც ამავე დროს არის კომპანიის დირექტორი.

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში "მსს ფასს"), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების "მსს ფასს-ზე გადასვლა"-ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ("GEL").

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში და უცხოური ვალუტას რეზიდენტ ბანკში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2022	2021
ნაღდი ფული სალაროში	1434	562
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	151670	18867
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	0
სულ	153104	19429

4. სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	622825	755176
სულ	622825	755176

5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს, კერძოდ, კომპანიის საქმიანობისთვის საჭირო ძირითადი საშუალებების შემენისთვის გადახდილ ავანსებს:

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2022	2021
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	0	0
სულ	0	0

6. მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ძირითადი საქმიანობისთვის განკუთვნილ ნედლეულსა და მასალას, რომელიც კომპანიის მიერ გამოიყენება მის მიერ მომსახურების გასაწევად.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2022	2021
სხვა მარაგი	218052	188176
სულ	218052	188176

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალებების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- შენობა-ნაგებობები 25-70 წელი
- მანქანა-დანადგარები 3-20 წელი
- ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი 3-15 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

მ/დანადგარები ტრანსპორტი სულ

31 დეკემბერი 2021 წ. ნარჩენი ღირ.	1394667	1570098	2964765
შემოსვლა/რემონტი	10189	123102	133291
პერიოდის ცვეთა	-276603	- 326343	-602946
გასვლა	0	0	0
31 დეკემბერი 2021 წ. ნარჩ. ღირ.	0	1 128 253	1 366 857
			2495 110

8. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

9. ფინანსური ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება. 2020–2022 წლების მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სესხი.

10. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი.

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2000 ლარს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დივიდენდების აღიარება ხდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

2022 წელს კომპანიის მიერ არ მომხდარა გაუნაწილებელი მოგებიდან დივიდენდების გამოცხადება.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 01 იანვარი 2022წ.	-	3 234 753	3 234 753
შენატანი	2000	-	2000
გაცემა	-	-	-
დივიდენდები	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		-578 653	-578 653
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	2000	2 656 100	2 658 100

11. ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

12. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება. ქვეყანაში 2019 წლიდან მოქმედებს საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრება სავალდებულოა ყველა დასაქმებულისთვის, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში, გარდა იმ დასაქმებულისა, რომელსაც ამ კანონის ამოქმედებამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალის შემთხვევაში – 55 წელი). მონაწილე დასაქმებულისა და მონაწილე თვითდასაქმებულის საპენსიო შენატანების დაფინანსებას ახორციელებენ დამსაქმებელი, დასაქმებული და სახელმწიფო აღნიშნული კანონით განსაზღვრული ოდენობითა და წესით.

13. საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - კომპანიას საოპერაციო იჯარის ფარგლებში ნაქირავები აქვს გარკვეული ტიპის ტექნიკა და ფართი. საიჯარო ხარჯი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

ლიზინგი
ბანკის მომსახ. ხარჯი
საკანცელარიო ხარჯი
ავტოტექნომსახ.
ლაბორატორიის ხარჯი
ტრანსპორტირების ხარჯი
კომუნალური ხარჯი
სამეურნეო ხარჯი
ინსპექტირების

დაზღვევის

საწვავი

საგზაო მონიშვნების
ხარ

სხვა

სულ

15. გადასახადები

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება

აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). მოგების ახალი მოდელით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე კომპანიებს საშუალება მიეცათ, 2017 წლამდე ბიუჯეტში გადახდილი მოგების გადასახადი ჩაითვალოს მომდევნო პერიოდებში თუ ისინი მოგების სახით გაანაწილებენ 2017 წლამდე დაგროვილ მოგებას.

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების. აღსანიშნავია, რომ ევროდირექტივების თანახმად, მოხდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში დღგ-ს მთლიანი კარის ცვლილება, რომლის თანახმად დაიხვეწა ტერმინოლოგია და მოვიდა ევროკავშირის ქვეყნების მოთხოვნებთან შესაბამისობაში გარკვეულწილად. აღნიშნული ცვლილება ძალაში შევიდა 2021 წლის იანვრის თვიდან.

16. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

17. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ ქონია პირობითი აქტივები, ვალდებულებები და ანარიცხები.

აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.